## ხელშეკრულება N 80

## მომსახურების გაწევის თაობაზე

ქ. სამტრედია „25“ ივნისი “ 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის ს. დ. ჯიხაიშის საჯარო სკოლა ს.კ. 238762843 (შემდგომში „შემსყიდველი“) დირექტორი [illegible]

და მეორეს მხრივ შპს „დეზრაზმი“ მისი დირექტორის თეიმურაზ თევზაძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს წყლის ფილტრების დაყენებას თავისი ფასონური ნაწილების მოწყობით. შესყიდვის კოდი CPV-42912330

**2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

2.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

2.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

**2.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:**

2.3.1. მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მოქმედი ნორმატიული აქტების მეთოდიკის გათვალისწინებით.

2.3.2 კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

**3. „მომსახურების“ ხარისხი:**

3.1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გთვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მოთხოვნებს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

**4. „მომსახურების“ გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი**

4.1. „მომსახურების გაწევა ხდება ერთჯერადად.

4.2. „მომსახურების“ თანხა შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

**5. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა:**

5.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

5.2. „შემსრულებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად „შემსყიდველისათვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.

5.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება.

**6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**7. დასკვნითი დებულებები**

7.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

7.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

7.4. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

7.5. ნებისმიერი ცვლილება დანართი/დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დროიდან და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები**

| დამკვეთი: | შემსრულებელი: |
| --- | --- |
| სამტრედიის მუნიც. გ. ნიკოლაძის | **შპს „დეზრაზმი"** |
| სახელობის ს. დ. ჯიხაიშის | საიდ. კოდი: 438729645 |
| საჯარო სკოლა | ქ. სამტრედია, დ. ხუჭუას ქ.N1 |
| ს.კ. 238762843 | სს თიბისი ბანკი |
| დირ. [illegible] | ანგ.N GE07TB7493236060100001 |
| | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| | მობ: 555 222 132 |
| | 574 12 75 75 |
| ხელმოწერა: | ხელმოწერა: /თეიმურაზ თევზაძე/ |

მიღება-ჩაბარების
აქტი

25 სექტემბერი 2019წ.

ქ. სამტრედია

აქტი შედგენილია, ერთის მხრივ შ.პ.ს. «დეზრაზმი»-ს დირექტორი თეიმურაზ თევზაძე (შემდგომში მომსახურების გამწევი) და მეორეს მხრივ სამტრედიის მუნიც. გ.ნიკოლაძის სახელობის ს. ჯიხაიშის ს/სკოლის დირექტორი ცოცინო ვაშაკიძე (შემდგომში მომსახურების მიმღები) შორის.

2019 წლის სექტემბერი-ს მომსახურების გამწევმა ჩააბარა, ხოლო მომსახურების მიმღებმა მიიღო 2019 წლის 25 ივნისი-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად და არც ერთ მხარეს ურთიერთშორის პრეტენზია არ გააჩნია.

„მომსახურების გამწევი"
შ.პ.ს. «დეზრაზმი»
ს/კ 438729645
მის: სამტრედია, დათო ხუჯუას ქ/ N1

დირექტორი: /თ. თევზაძე/

„მომსახურების მიმღები"
გ.ნიკოლაძის სახ. ჯიხაიშის ს/სკოლა
ს/კ 238762843
მის: სამტრედია - ჯიხაიში

დირექტორი: [signature] /ც. ვაშაკიძე/